The Union of Museums
Digitally signed by The Union of Museums
Date: 2023.06.01 17:42:09 +04'00'

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №54-გ

ქ. თბილისი

01 ივნისი 2023 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ **მუზეუმების გაერთიანება** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - **ნინო სანადირაძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს "ალტა რითეილი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორი - **გიორგი ჟურულის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია **გრანტის** დაფინანსების ფარგლებში, ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის აღსაჭურვად **ციფრული კამერის (CPV38651600 - ციფრული ფოტოაპარატები)** სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

N	შესასყიდი საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია	მარკა/მოდელი
1	ციფრული კამერა	კამერის ტიპი: სარკისებური მატრიცა: CMOS 36X24მმ პიქსელების ეფექტური რაოდენობა: 30.4 MP სულ პიქსელები: 31.7 დაბალსიხშირული ფილტრი: Built-in/Fixed ფორმატი: MPEG-4, Motion JPEG ვიდეოს ჩაწერის გარჩევადობა: 4096 x 2160 (29.97p, 24p, 23.98p), 1920 x 1080 (59.94p, 29.97p, 24p, 23.98p), 1280 x 720 (119.9p) ISO: Auto, 100-32000 (expands to 50-102400) ელემენტის ტიპი: Li-Ion ელემენტის აღწერა: LP-E6N lithium-ion ელემენტი & დამტენი	1	6,739.00	6,739.00	იაპონია; Canon Inc.	Eos 5D Mark IV

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **6739.00 (ექვსი ათას შვიდას ოცდაცხრამეტი)** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. აღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტზე, ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს 2023 წლის 05 ივნისისა.**

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ცინცაძის ქუჩა №5.**

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების ღონისძიებების ტექნიკური მენეჯერი - დავით მოსიძე.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს, შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების ღონისძიებების ტექნიკური მენეჯერი - **დავით მოსიძე.**
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.
6.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა
7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტი აღმოჩნდება ნაკლის მქონე, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს ეს ნაკლი.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს, შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.6ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.7. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.10. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან - **2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით,** ხოლო ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ურთიერთობებზე ხელშეკრულება მოქმედებს გარანტიის ვადით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერისთანავე.

12.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

12.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402036998
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №103

„მიმწოდებელი“

შპს ალტა რითეილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402033312
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №104
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE68TB7889136080100005

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

Giorgi Juruli 01008010904
Digitally signed by Giorgi Juruli
Date: 2023.06.01 17:06:12

გიორგი ჟურული
დირექტორი